

**„დამტკიცებულია“**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 25 იანვრის №01-03/07 ბრძანებით

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს**

**წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

**მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა**

მართვის ეფექტიანობის (შემდგომში - მონიტორინგი) მიზანია - მმართველობითი საქმიანობის კოორდინაცია ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) წინაშე მდგარი ყველა (სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული) მიზნის განსახორციელებლად.

მონიტორინგის ფუნქციებია:

- ✓ მმართველობითი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა „უნივერსიტეტი“-ის ყველა მიზნის განსახორციელებლად;
- ✓ მმართველობითი გადაწყვეტილებებისთვის საჭირო ინფორმაციული და საკონსულტაციო მხარდაჭერა;
- ✓ მართვის პროცესის უზრუნველყოფისთვის სათანადო ინფორმაციული სისტემის შექმნა;
- ✓ რაციონალური მართვის ხელშეწყობა.

მონიტორინგის ამოცანებია:

- ✓ „უნივერსიტეტი“-ის სტრატეგიული დაგეგმვის განვითარება;
- ✓ საქმიანობის სუსტი და ძლერი მხარეების ანალიზი;
- ✓ შიდა და გარე ცვლილებებიდან გამომდინარე, „უნივერსიტეტი“-ის სტრატეგიული მიზნების დაზუსტება და შესრულების უზრუნველყოფა;
- ✓ ჩატარებული მუშაობის მოსალოდნელი და ფაქტიური შედეგების სისტემური შედარება;
- ✓ კორექტირების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.

მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა

მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა მონიტორინგის მიზნებიდან, ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მექანიზმი „უნივერსიტეტი“-ში მოიაზრება,

როგორც თვითრეგულაციის მექანიზმი, რომელიც მართვის პროცესში უკუკავშირს უზრუნველყოფს.

მონიტორინგის და მისი შეფასების ინსტრუმენტები

- ✓ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის არსებული მექანიზმი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა-თვითშეფასებისთვის არსებული მექანიზმი;
- ✓ ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული და ფაქტიური შედეგების შედარების ანალიზი;
- ✓ კონტროლის სისტემა: მონაცემები დისციპლინაზე, ინიციატივასა და საქმიან თვისებებზე;
- ✓ კვლევები მართვის ეფექტურობის მონიტორინგის არსებული მექანიზმების (ჩართული სტრუქტურები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები).

შესწავლის და განვითარების მიზნით: „უნივერსიტეტი“-ში საკითხთან მიმართებაში არსებული მდგომარეობა და არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი